# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 103

„15" აპრილი 2016 Წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №57-65-ის მიმდებარედ არსებული (№01.14.03.021.019, №01.14.03.021.017) საკადასტრო ერთეულების პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი კერესელიძისთვის (პ/ნ: №01015020077) იჯარით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 23 მარტის №11.09.249 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების მდებარე პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი კერესელიძისთვის (პ/ნ: №01015020077) იჯარით გადაცემაზე:

ა) ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №57-65-ის მიმდებარედ 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ს/კ №01.14.03.021.019);

ბ) ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №57-65-ის მიმდებარედ 3კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.03.021.017).

2. მიწის ნაკვეთების საერთო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს - 5590 (ხუთი ათას ხუთას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი